

HUMAN RIGHTS WATCH

350 Fifth Avenue, 34th Floor
New York, NY 10118
Phone: 212-290-4700
Fax: 212-736-1300
hrwnyc@hrw.org
Website: http://www.hrw.org



EUROPE AND CENTRAL ASIA DIVISION

Elizabeth Andersen
Executive Director
Rachel Denber
Deputy Director
Veronika L. Szente Goldston
Advocacy Director
Diederik Lohman
Moscow Office Director
Julia Hall
Senior Researcher
Alexander Anderson
Matilda Bogner
Julie Chadbourne
Bogdan Ivanisevic
Anna Neistat
Darian Pavli
Acacia Shields
Jonathan Sugden
Research Associates
Alexander Petrov
Deputy Director, Moscow Office
Liudmila Belova
Rachel Bien
Elizabeth Eagen
Giorgi Gogia
Ani Mason
Associates

STEERING COMMITTEE

Peter Osnos, *Chair*
Alice H. Henkin, *Vice Chair*
Morton Abramowitz
Barbara Finberg
Frederica Friedmann
Felice Gaer
Michael Gellert
Paul Goble
Stanley Hoffman
Robert James
Kati Marton
Prema Mathai-Davis
Karl Meyer
Joel Motley
Herbert Okun
Jane Olson
Leon Sigal
Malcolm Smith
George Soros
Donald J. Sutherland
Ruti Teitel
Mark Walton
William D. Zabel
Warren Zimmermann

HUMAN RIGHTS WATCH

Kenneth Roth
Executive Director
Michele Alexander
Development and Outreach Director
Carroll Bogert
Communications Director
Reed Brody
Advocacy Director
John T. Green
Operations Director
Barbara Guglielmo
Finance Director
Lotte Leicht
Brussels Office Director
Tom Malinowski
Washington Advocacy Director
Michael McClintock
Deputy Program Director
Maria Pignataro Nielsen
Human Resources Director
Dinah Pokempner
General Counsel
Malcolm Smart
Program Director
Wilder Tayler
Legal and Policy Director
Joanna Weschler
UN Representative
Jonathan Fanton
Chair

არაოფიციალური თარგმანი

9 მარტი, 2002 წ.

პრეზიდენტ ელუარდ შევარდნაძეს
სახელმწიფო კანცელარია
ინგოროყვას ქუჩა 7
თბილისი 380034
საქართველო

ბატონო პრეზიდენტო,

მე გწერთ, რათა შეშფოთება გამოვხატო ბასილი მკალავიშვილისა და პეტრე ივანიძის წინააღმდეგ მიმდინარე სასამართლო პროცესის თაობაზე. მათ არატრადიციული რელიგიის მიმდევართა დარბევებში ეღებათ ბრალი. Human Rights Watch-ის მიერ დაფიქსირებული დამაშინებელი გარემო პროცესზე და სასამართლოს ოფიციალური პირების მიერ ამ გარემოებებზე ადექვატური რეაგირების სურვილის არ ქონა საფრთხეს უქმნის საქმეზე სამართლიანობის დადგენას. ჩვენ აგრეთვე შეშფოთებულნი ვართ რელიგიის ნიადაგზე მიმდინარე ძალადობრივი ფაქტების გამო, რომელთაც ადგილი აქვთ მკალავიშვილის სასამართლო პროცესის დაწყების შემდეგაც.

სასამართლო პროცესზე არსებული ატმოსფერო და რელიგიის ნიადაგზე ჩადენილი ძალადობათა რიცხვის ზრდა სხვა არაფერია, თუ არა საქართველოს სამართალდამცავი სტრუქტურების უუნარობა დაიცვან მსხვერპლნი რელიგიური ბრბოს ძალადობისაგან და საკადრისი პასუხი აზღვევინონ მავანთ. ისინი წარმოადგენენ კანონის უზენაესობის მარცხს და საქართველოს სათანადო სტრუქტურების უუნარობას განახორციელონ ადამიანის უფლებათა დაცვის ნაკისრი ვალდებულებები. ჩვენ მოვითხოვთ, რომ სასწრაფო ზომები იქნას მიღებული ბრბოს ძალადობის მომავალი ფაქტების აღმოსაფხვრელად და სათანადო რეაგირება მოახდინოთ პოლიციის, პროკურატურისა და სასამართლოს, როგორც ცალკეულ, ისე ერთობლივ, უუნარობაზე განახორციელონ თავიანთი მოვალეობები.

Human Rights Watch-მა 2000 წლის სექტემბრიდან ოთხჯერ მოგმართათ წერილობითი თხოვნით თქვენ და თქვენი მთავრობის მინისტრებს, რათა გაგეტარებინათ სათანადო ზომები არატრადიციული რელიგიის მიმდევართა წინააღმდეგ მიმართული ბრბოს ძალადობის მზარდი ტენდენციების აღმოსაფხვრელად. საქართველოს სახალხო დამცველის 2001 წლის 26

სექტემბრის წერილი აღიარებდა პრობლემას და უკმაყოფილებას გამოხატავდა სათანადო ორგანოების უმოქმედობასთან დაკავშირებით. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ დღემდე ჩვენ არანაერი პასუხი არ მიგვიღია საქართველოს სახელმწიფოს სხვა სტრუქტურებისგან.

ამასობაში, დარბევათა შემთხვევებმა იმატა. ბოლო ორნახევარი წლის მანძილზე ორგანიზებულმა ბრბომ ასზე მეტი თავდასხმა განახორციელა ისეთი რწმენის მიმდევართა წინააღმდეგ, როგორებიც არიან იელოვას მოწმეები, ორმოცდაათიანელები, ევანგელისტები და ბაფტისტები. ამ დარბევათა დროს ხდებოდა დაზარალებულთათვის სხეულის ფიზიკური დაზიანების მიყენება და მათი კერძო საკუთრების მოპარვა ან განადგურება. ამ შემთხვევათა ბევრი მაგალითია მოყვანილი Human Rights Watch-ის მიერ თქვენდამი გამოგზავნილ წინა წერილებში და 2001 წლის 29 აგვისტოს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობისადმი გაგზავნილ მემორანდუმში. ჩვენმა კვლევამ ცხადჰყო, რომ პოლიციამ ვერ შეძლო დაზარალებულთა დაცვა და მოძალადეთა დაპატიმრება და ზოგიერთ შემთხვევაში თავად მონაწილეობდა ძალადობაში. პროკურატურის მიერ ბრბოს ასეთი ძალადობის ფაქტების გამოძიება ძალიან ნელა, არაეფექტურად ან საერთოდ არ ხორციელდება. იმ შემთხვევაშიც კი, როცა ხდება ბრალდების წაყენება, ის არ შეესაბამება ძალადობის ფაქტების სრულ სიმძიმეს, მხოლოდ მცირედ ნაწილს ძალადობის მონაწილეებისა წაყენა ბრალი, ხოლო სასამართლოს მიერ შეფარდებული აღმკვეთი ღონისძიება აშკარად დამცინავია, თუმცა მასზედაც კი არ ხდება სამართალდამცავთა მიერ სათანადო რეაგირება.

ბასილ მკალავიშვილსა და პეტრე ივანიძეს ბრალდებები წაყენათ დიდი ხნის დაგვიანებით 2001 წლის 3 სექტემბერს. საბრალდებო დასკვნა მოიცავდა 2000 წლის ბოლოსა და 2001 წლის დასაწყისში იელოვას მოწმეების, გაერთიანებული ბიბლიური საზოგადოებისა და გაზეთ *რეზონანსის* წინააღმდეგ განხორციელებულ ხუთ ძალადობრივ ფაქტს. ბრალდებულები აგრძელებდნენ და იმუქრებოდნენ ახალი ძალადობრივი ფაქტებით ბრალდების წაყენების შემდეგაც, უფრო მეტიც, სასამართლო პროცესის მსვლელობის დროსაც კი. მკალავიშვილი-ივანიძის სასამართლო პროცესი პირველია 2000 წლის აგვისტოდან, როდესაც განიხილება რელიგიის ნიადაგზე ჩადენილი ძალადობის ფაქტები. სასამართლო პროცესი დაიწყო და შეწყდა 25 იანვარს და სამჯერ გადაიდო ამის შემდეგ თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის რაიონულ სასამართლოში საქმის განხილვა. ექვსი კვირის განმავლობაში სასამართლომ ვერ შეძლო საქმის არსებითი განხილვის დაწყება.

Human Rights Watch-ი შეშფოთებულია იმ გარემოებით, როგორც წარიმართება ეს სასამართლო პროცესი. ჩვენ დავადგინეთ, რომ ის გამოიყენება რელიგიური ძალადობის მსხვერპლთა შემდგომი შეურაცხყოფისა და დაშინებისათვის და თუ გავითვალისწინებთ რა ვითარებაში მიმდინარეობს პროცესი, მცირეა პერსპექტივები იმისა, რომ მოხდეს დაზარალებულთა უფლებების აღდგენა ან რელიგიური ძალადობისათვის დაუსჯელობის სინდრომის გარღვევა.

ბასილი მკალავიშვილი და პეტრე ივანიძე სათავეში უდგანან მოძალადეთა ბრბოს, რომელთაც არაერთი თავდასხმა განახორციელეს რელიგიურ უმცირესობებზე. მათი ქმედებების ისტორია მოიცავს სასამართლოს დარბაზში განხორციელებულ ძალადობრივ თავდასხმის ფაქტსაც. 2000 წლის 16 და 17 აგვისტოს თბილისის გლდან-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში

ისინი თავს დაესხნენ საქართველოს ადამიანის უფლებების დამცველებს, ჟურნალისტებსა და უცხოელ დამკვირვებლებს, რაზეც მოსამართლემ, პროკურორმა და პოლიციელებმა თვალის დახუჭვა არჩიეს. ამ ინციდენტის მიუხედავად, დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს მოსამართლემ ვერ შეძლო მიმდინარე სასამართლო პროცესზე უსაფრთხო გარემოების გარანტირება, სადაც, როგორც მთლიანად სასამართლო, ისე დაზარალებულები, მათი დამცველები, მოწმეები და პროცესის დამკვირვებლები დაცულნი იქნებოდნენ დაშინებისა და ფიზიკური შეურაცხყოფის საფრთხისაგან.

25 იანვრიდან მოყოლებული იმ სამი შემთხვევისას, როცა მკალავიშვილი გამოცხადდა სასამართლო პროცესზე, მას თან ახლდა ორმოცდაათიდან ორასამდე თანამზრახველი. იგი მეგაფონით აცნობებდა მოთხოვნებს მოსამართლეს. მისი თანამზრახველებით იყო გაჭედული სასამართლო დარბაზი, დიდად ჭარბობდნენ რა ამით სამართალდამცავთა რაოდენობას, რომლებიც საერთოდ არ იმყოფებოდნენ სასამართლოს ოთახში პირველი ორი განხილვისას. სასამართლო დარბაზში მკალავიშვილის მომხრეები შეიარაღებულნი იყვნენ ანტი-იელოვური ლოზუნგებით, დიდი ჯვრებითა და ბიბლიებით, რომლებიც ადრე არაერთხელ იქნა გამოყენებული დაზარალებულთა საცემად. Human Rights Watch-მა თავად იხილა, ისინი და თვით მკალავიშვილი, როგორ აშინებდნენ დაზარალებულებს სიტყვიერად სასამართლოს ოთახსა თუ ვესტიბულში.

27 თებერვლის სასამართლო განხილვისას სავარაუდოდ დიდუბე-ჩუღურეთის სასამართლოს მოსამართლემ დაავალა ოც პოლიციელს დაეცვა წესრიგი დარბაზში და მოსთხოვა მკალავიშვილის მომხრეებს არ გამოეყენებინათ ლოზუნგები. მიუხედავად ამისა, ეს ზომები სრულად არ შეესაბამება ოთახში არსებულ დამაშინებელ ატმოსფეროს. მკალავიშვილის მომხრეები აკვირდებიან, კითხვებს უსვამენ და სიტყვიერ შეურაცხყოფას აყენებენ პროცესის დამკვირვებლებს, განსაკუთრებით თუ ეს უკანასკნელნი შენიშვნებს იწერენ. ვინაიდან არსებობს ფიზიკური გასწორების საშიშროება, არცერთ უცხოელ დამკვირვებელს თუ ადგილობრივი ადამიანის უფლებათა დამცველს არ უცდია დასწრებოდა სასამართლო პროცესს. Human Rights Watch-ი ანონიმურად ესწრებოდა პირველ სამ პროცესს, მაგრამ ფიზიკური გასწორების მუქარის გამო იძულებული ვიყავით შეგვეწყვიტა მონიტორინგი მანამ, სანამ სასამართლო ხელისუფლება არ მიიღებს სათანადო უსაფრთხოების ზომებს.

დაზარალებულებმა Human Rights Watch-ს განუცხადეს, რომ ისინი უსაფრთხოდ არ გრძნობენ თავს სასამართლო დარბაზში და, რომ მათ მოსამართლეს აცნობეს თავიანთი მოსაზრებები. მიუხედავად ამისა, მოსამართლემ გასცა ბრძანება იელოვას მოწმე დაზარალებულების იძულების წესით მოყვანის შესახებ. ამ მიზნით უბნის ინსპექტორებმა რამდენჯერმე მონახულეს სახლში სამი იელოვას მოწმე სამიდან ოცდახუთი თებერვლის დროის მონაკვეთში. 27 თებერვლის სასამართლო პროცესიდან რამდენიმე დღით ადრე უბნის ინსპექტორი ერთი დამით დაპატიმრებით დაემუქრა რულოლფ მიკირტუმოვს და მეორე დღეს იძულებით სასამართლო პროცესზე მიყვანას დაჰპირდა. ასევე ძალის გამოყენებით სასამართლო პროცესზე გამოცხადებით დაემუქრნენ შესაბამისი უბნის ინსპექტორები ბადრი კოპალიანსა და გარეგინ ხაჩატურიანს. სასამართლოზე იძულებით მიყვანის ეს მცდელობები, როგორც ჩანს, არღვევენ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 174-ე და 175-ე მუხლებს, რომლებიც ავალდებულებს მოსამართლეს დაადგინოს პროცესზე

გამოუცხადებლობის მიზეზის არასაპატიობა მანამ, სანამ გასცემს იძულების წესის გამოყენების ბრძანებას. თუმცა, ეს სავალდებულო პროცედურა არ ჩატარებულა. ხაჩატურიანიც და მიკირტუშოვიც ესწრებოდნენ 25 იანვრის სასამართლო პროცესს, მაგრამ შეეშინდათ ხუთ თებერვალს კვლავ გამოცხადებისა.

გარკვეული დაზარალებულების დაპატიმრებისა და იძულებით სასამართლო პროცესზე მიყვანის სურვილის საპირისპიროდ საქართველოს სამართალდამცავებმა შემწყნარებლობა გამოამჟღავნეს ბრალდებულების მიმართ და საშუალება მისცეს მათ განეხორციელებინათ მორიგი დარბევები. 2001 წლის 2 აპრილს თბილისის რაიონულმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა ქალაქის პროკურატურის შუამდგომლობა მკალავიშვილის პოლიციის ზედამხედველობაში გადაცემის შესახებ. ამის მაგივრად სასამართლომ ბრძანა აღმკვეთი ღონისძიების სახით გამოეყენებინათ ხელწერილი გაუსვლელობისა და სათანადო ქცევის შესახებ. სამართალდამცავმა ორგანოებმა ვერ შეძლეს შესაბამისი აღმკვეთი ღონისძიების განხორციელებაზე თვალყური, მიუხედავად იმისა, რომ მკალავიშვილმა არაერთგზის ცინიკურად დაარღვია ის. გენერალური პროკურატურის მიერ 2001 წლის 3 სექტემბრის საბრალდებო დასკვნის შემდეგ მკალავიშვილმა და ივანიძემ თავიანთი ორასამდე მომხრის თანხლებით განახორციელეს შემდეგი ხუთი თავდასხმა; პირველი ორი შემთხვევის წყაროს წარმოადგენს სანდო მედიის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, ხოლო დანარჩენი სამი შემთხვევა ეყრდნობა Human Rights Watch-ის მიერ დაკითხულ დაზარალებულებისა და თვითმხილველების ჩვენებებს.

- 2002 წლის 3 თებერვალს მკალავიშვილმა და ასზე მეტმა მისმა მიმდევარმა გატეხა თბილისში მდებარე საწყობი, გაიტაცა და დაწვა რამდენიმე ათასი ბიბლია და სხვა რელიგიური ლიტერატურა, რომელიც ეკუთვნოდა ბაფტისტურ ეკლესიასა და გაერთიანებულ ბიბლიურ საზოგადოებას. ეს თავდასხმა რამდენჯერმე იქნა ნაჩვენები დღის განმავლობაში რუსთავი 2-ის სატელევიზიო არხის საშუალებით. პოლიციას ხელი არ შეუშლია დანაშაულის ჩაღწევაში.
- 2002 წლის 25 იანვარს, მას შემდეგ, რაც გადაიღო სასამართლო პროცესი, მკალავიშვილი და მისი მომხრეების დიდი ბრბო შეიკრიბა თბილისში პირველი სტერეოს ტელევიზიის წინ და თავდასხმითა და აპარატურის განადგურებით დაემუქრა მათ, თუ ეს უკანასკნელნი არ შეწყვეტდნენ რელიგიური დისკუსიების ყოველდღიური გადაცემის ჩვენებას, რომელიც ევანგელისტურ პროტესტანტურ ეკლესიასთან იყო ასოცირებული. ტელევიზიის კომპანიის დირექტორი იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა მათი მოთხოვნა.
- 2001 წლის 23 დეკემბერს მკალავიშვილი მიუძღოდა ასზე მეტ მის მომხრეს, როცა ეს უკანასკნელნი თავს დაესხნენ თბილისის ცენტრში მდებარე კინო-თეატრ ივერიის შენობაში მიმდინარე ევანგელისტური ეკლესიის – “სიცოცხლის სიტყვა” – რელიგიურ მსახურებას. თავდამსხმელები წინლებსა და მუშტებს, ხის ხელკეტებსა და რკინის ვაზას ურტყამდნენ თავიანთ მსხვერპლთ. მათ მოიპარეს აპარატურა, ფული და პირადი საბუთები. პოლიციის ოფიცრები თავდასხმიდან ხუთ წუთში მივიდნენ დანაშაულის ადგილზე, მაგრამ მხოლოდ იმით შემოიფარგლნენ, რომ არ მისცეს

მოდლადებს უფლება შესულიყვნენ საკვირაო სკოლის ოთახში, სადაც ბავშვები იყვნენ შეკრებილნი. პოლიციას არ უცდია აღეკვეთა მიმდინარე ცემა და ქურდობა, არავინ არ დაუპატიმრებია, ხოლო მოგვიანებით უარი განუცხადა დაზარალებულებს ოფიციალური სამედიცინო ექსპერტიზის მიმართვის გაცემაზე.

- 2001 წლის 28 სექტემბერს მკალავიშვილმა, ივანიძემ და სამოცდაათიდან ასამდე მათმა მომხრემ ქვებით, ხელკეტებითა და ველოსიპედის სპიცებით შეიარაღებულებმა გზა გადაკეტეს ფონიჭალის გზის გასაყართან. მათ ფაქტიურად შექმნეს შემოწმების პუნქტი პოლიციის პუნქტიდან სამასამდე მეტრის მოშორებით, სადაც რვიდან ათამდე პოლიციის მუშაკი იქნა დაფიქსირებული. მკალავიშვილის ჯგუფი ამოწმებდა მანქანებსა და ავტობუსებს, ეძებდნენ რა ისინი მარნეულში დაგეგმილ ასამბლეაზე მიმავალ იელოვას მოწმეებს. ისინი თავს ესხმოდნენ და სცემდნენ ყველა იელოვას მოწმეს, რომელსაც წააწყდებოდნენ, აყენებდნენ რა სხეულის მრავლობით დაზიანებებს და ასევე აზიანებდნენ მანქანებსა და ავტობუსებს, რომლებითაც ეს უკანასკნელნი მგზავრობდნენ. ახლოს მყოფმა პოლიციელებმა უარი განაცხადეს იელოვას მოწმეების თხოვნაზე აღეკვეთათ დანაშაულებრივი ქმედება. იელოვას მოწმეების ორგანიზაციის გადმოცემით, ისინი სასწრაფოდ დაუკავშირდნენ პოლიციის, შინაგან საქმეთა სამინისტროსა და გენერალური პროკურატურის სხვადასხვა მაღალჩინოსანთ (ამ უკანასკნელ ორის შენობა ახლოს მდებარეობს ფონიჭალასთან), მაგრამ მათი მხრიდან არ მოყოლილა არანაირი ჩარევა.
- 2001 წლის 23 სექტემბერს მკალავიშვილი და მის მომხრეთა დაახლოებით ოცკაციანი ჯგუფი ძალის გამოყენებით თავს დაესხა და გაქურდა გლდანის გამგეობის შენობაში გუნდის რეპეტიციისთვის შეკრებილი ევანგელისტური ეკლესია “მადლის” წევრები. რის შედეგადაც ეკლესია “მადლის” თორმეტი წევრი იქნა დაზარალებული. ახლოს მდებარე პოლიციის განყოფილების მუშაკებმა უარი განაცხადეს ჩარევაზე.

Human Rights Watch-ი საქართველოს სამართალდამცავ სტრუქტურებს მოუწოდებს:

- სასწრაფოდ აიყვანეთ ბასილი მკალავიშვილი და პეტრე ივანიძე წინა-სასამართლო პატიმრობაში, რათა არამართლმადიდებელი რელიგიის მიმდევრები დაცული იყვნენ მომავალი შესაძლო თავდასხმებისგან.
- უზრუნველყავით ბასილი მკალავიშვილისა და პეტრე ივანიძის სასამართლო პროცესის ყველა მონაწილისა და დამკვირვებლის ფიზიკური უსაფრთხოება და აღკვეთეთ მათი დაშინება პროცესის მსვლელობისას.
- განახორციელეთ სწრაფი, მიუკერძოებელი და დეტალური გამოძიება რელიგიის ნიადაგზე ჩადენილი ბრბოს ძალადობის ყველა ფაქტისა და პასუხი აგებინეთ ყველა დამნაშავეს.
- ჩაერიეთ და აღკვეთეთ რელიგიური ძალადობის ფაქტი მოხდენისას.

Human Rights Watch-ისთვის ცნობილია, რომ თქვენ დაავალეთ შინაგან საქმეთა, სახელმწიფო უშიშროებისა და იუსტიციის მინისტრებს, აგრეთვე გენერალურ პროკურორს

დღეს სახალხო დამცველის ოფისში შეხვედროდნენ საქართველოს არასამთავრობო ორგანიზაციებისა და რელიგიური უმცირესობების წარმომადგენლებს. Human Rights Watch-ი მიესალმება ამ დიალოგს, როგორც პირველ და დიდი ხნის წინათ საჭირო ნაბიჯს, მაგრამ შეგახსენებთ, რომ ეფექტური ქმედებები უნდა იყოს ის საზომი, რითაც მოხდება შეფასება საქართველოს ხელისუფლების უნარისა განახორციელოს ადამიანის უფლებების სფეროში ნაკისრი ვალდებულებები.

მადლობას გიხდით ამ წერილში გამოხატული შეშფოთებების ყურადღებისთვის და მივესალმები პასუხს, რომელიც შეიძლება გამოგზავნოთ ფაქსით +1 212 736 1200 (ნიუ იორკი) ან 22-10-99 (თბილისი).

პატივისცემით,

ელიზაბეტ ანდერსენი
ალმასრულებელი დირექტორი
ევროპისა და ცენტრალური აზიის განყოფილება
Human Rights Watch-ი

ასლი გაეგზავნათ:

ნანა დეკდარიანს, სახალხო დამცველი

ნინო ბურჯანაძეს, პარლამენტის თავმჯდომარე
ელენე თევდორაძეს, პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის თავმჯდომარე
ზურაბ ადვიშვილს, იურიდიულ საკითხთა, კანონიერებისა და ადმინისტრაციული რეფორმების კომიტეტი

ლადო ჭანტურიას, უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე
რუსუდან ბერიძეს, მდივნის მოადგილე ადამიანის უფლებათა დარგში, ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი

როლანდ გილიგაშვილს, იუსტიციის მინისტრი
დავით მუმლაძეს, იუსტიციის საბჭოს მდივანი
დავით დოიჯაშვილს, დიდუბე-ჩუღურეთის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარე

კობა ნარჩემაშვილს, შინაგან საქმეთა მინისტრი
ვალერი ხაბურძანიას, სახელმწიფო უშიშროების მინისტრი
ნუგზარ გაბრიჭიძეს, გენერალური პროკურორი

მარკუს შმიდტს, გაეროს ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტის მდივანი

პრემიერ მინისტრ ხოსე მარია აზნარს, ევროკავშირის ესპანეთის პრეზიდენტობა
კრის პატენს, ევროკავშირი, საგარეო ურთიერთობების კომიტეტი
ხავიერ სოლანას, ევროსაბჭოს გენერალური მდივანი
ფეტ კოქსს, ევროპარლამენტის თავჯდომარე
ელმარ ბროქს, ევროპარლამენტის საგარეო ურთიერთობათა, უშიშროებისა და
თავდაცვის კომიტეტის თავჯდომარე

უოლტერ შეიმერს, აღმასრულებელი მდივანი, ევროსაბჭო
პიტერ შაიდერს, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის პრეზიდენტი
ანდრამ ბარსონს, ევროსაბჭოს სამეთვალყურეო კომიტეტის თავჯდომარე
ლინო დიანას, ევროსაბჭოს სამეთვალყურეო კომიტეტის მომხსენებელი
საქართველოზე
მატიამ ეორსს, ევროსაბჭოს სამეთვალყურეო კომიტეტის მომხსენებელი
საქართველოზე

ჯეიმ ხოსე მატოს და გამას, ეუთოს თავჯდომარე, პორტუგალიის საგარეო
საქმეთა მინისტრი
ელჩ ჯერალდ შტუდმანს, დირექტორი, ეუთოს დემოკრატიისა და ადამიანის
უფლებათა დამცველი ოფისი

კოლინ ფაუელს, ა.შ.შ.–ს სახელმწიფო მდივანი
დინ მაიკელ იანგს, ა.შ.შ.–ს საერთაშორისო რწმენის თავისუფლების კომისიის
თავჯდომარე